

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

და ფინანსური ანგარიშგება

შპს სამეცნიერო-საწარმოო კომპანია ელ-ეს-ჯი (205049543)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია ელ-ეს-ჯი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2004 წლის ბოლოს. საწარმოს იურიდიული მისამართია თბილისი, თამარაშვილის 19ა/39, ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილი მდებარეობს თბილისში, ჩიტაძის 10-ში. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა:

- სხვადასხვა ფუნქციის მქონე შენობების (სამრეწველო, საგანმანათლებლო, საწარმოო და ა.შ.) სრული აღდგენა, შიდა ქსელების (ელექტრობა, მილგაყვანილობა და ა.შ.) პროექტირებისა და მოწყობა-გამართვის ჩათვლით
- რთული ელექტრონული მოწყობილობების მონტაჟი, გამართვა და გაშვება;

ამასთანავე, საწარმო ახორციელებს გარკვეული სახის მომსახურებებს და იშვიათად საქონლის რეალიზაციასაც ეწევა.

2. მომზადების საფუძველი

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ლარში, რომელიც წარმოადგენს საწარმოს როგორც წარსადგენ, ისე სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი საკითხები განსაზღვრულია ქვემოთ.

3. ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკსა და სალაროში, მოკლევადიან ანაზრებს და გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით საბანკო დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად რესურსებს, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთის, მოკლევადიანი ანაზღაურებისა დეპოზიტებზე განთავსებული ფულადი რესურსებისაგან ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

4. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავლის აღიარება მომსახურების გაყიდვიდან ხდება რამდენიმე სახით:

- ძირითადი საქმიანობის სფეროში განხორციელებული სამუშაოები: სამუშაოს სრული ან ნაწილობრივი (გრძელვადიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში) ჩაბარებისა და შესაბამისი აქტების (ფორმა #2, მიღება-ჩაბარების აქტები, ინვოისები და ა.შ.) გამოწერისას;
- მომსახურების სფერო: მომსახურების სრულად გაწევის და დამკვეთის მიერ ამ მომსახურების შედეგების მიღება-აღიარების შემდეგ
- საქონლის რეალიზაცია: გაყიდვის შემდგომ, ანუ როცა კონტროლი საქონელზე გადაეცემა დამკვეთს ან მყიდველს

ჩვეულებრივი საკრედიტო ვადაა მომსახურების ან საქონლის გადაცემის მომენტიდან 15-დან 45 დღემდე (პროცენტის დარიცხვის გარეშე). შემოსავლების აღიარება ხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე). თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

6. სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს დამკვეთისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც საწარმოს მიღებული აქვს ანაზღაურება. თუ დამკვეთი გადახდას განახორციელებს საწარმოს მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე

ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

7. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება ან საქონელი საკუთრების უფლებით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით

2020 წელს მიღებული ამონაგების კლასიფიცირება მოცემულია ცხრილში

<u>ჯგუფი</u>	<u>თანხა</u>
ძირითადი საქმიანობა	317,897,33
საქონლის რეალიზაცია	65,734,37
გადაზიდვით მომსახურება	50,775
სამშენებლო მოწყობილობის გაქირავება	755,08
<u>სულ</u>	<u>435,161,78</u>

8. სავაჭრო, თანამშრომელთა მიმართ, საგადასახადო, მიმდინარე სასესხო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უმრავლეს შემთხვევებში, სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა ხდება მათი წარმოქმნიდან 5-15 დღის ვადაში.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებებში აისახება გადასახდელი ხელფასები, პრემიები, სხვა სახის გასამრჯელოები და საპენსიო შენატანები.

მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში აისახება:

- მოკლევადიანი სესხები, რომელთა გადახდა იგეგმება მომავალი 12 თვის განმავლობაში

- ოვერდრაფტები, რომელთა დაფარვა პერიოდულად ყოველი 3 თვის განმავლობაში ხდება

დივიდენდები საანგარისო წლის ბოლოს ცხადდება იმ ოდენობით (იხ. პუნქტი დივიდენდების გადახდის შეზღუდვა), რომელიც პერიოდულად გაიცემა მოცემული საანგარიშო წლის მომდევნო საანგარიშო წლის დასრულებამდე. შესაბამისად, წმინდად გასაცემი დივიდენდები აისახება სხვა ვალდებულებებში, ხოლო 5%-იანი გადასახადი საგადასახადო ვალდებულებებში.

2020 წელს საწარმომ მიიღო დაკვეთა მაღალტექნოლოგიური დანადგარების მიწოდებაზე, რომელიც განისაზღვრა 7-8 თვით. ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა ავანსირებას, რაც საწარმომ წლის ბოლოს ასახა გამოუმუშავებელ შემოსავალში, ვინაიდან მიწოდება განხორციელდება 2021 წლის გვიან გაზაფხულზე.

ვალდებულებები	1/1/2020	31/12/2020
მომწოდებლების მიმართ	42,566	490
საპენსიო შენატანები	4,285	2,627
ოვერდრაფტები	9,624	1,532
წინასწარ მიღებული თანხები		566,282
საშემოსავლო დივიდენდები	16,291	21,058
საშემოსავლო ხელფასები		8,071
გადასახდელი დღგ		2,373
სხვა ვალდებულებები	309,530	400,095
სულ	382,296	1,002,528

9. მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სამშენებლო-სარემონტო და სამონტაჟო მასალები დაუმთავრებელ წარმოებაზე ჩამოიწერება მასალების ხარჯვის შესახებ მატერიალურ-ტექნიკური ანგარიშების საფუძველზე

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო

დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი	1/1/2020	31/12/2020
მასალები	42,320	51,463
დაუმთავრებელი მშენებლობა		

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული მარაგების და გადამუშავების დანახარჯების სტრუქტურა შემდეგია:

მარაგები	თანხა
ინვენტარი	878
ძირითადი საქმიანობა	146,820
მომსახურების გაწევა (გადაზიდვა)	10,214
გადასაყიდი (რეალიზაცია)	51,750
სულ	209,662

გადამუშავების დანახარჯი	თანხა
მონტაჟის ღირებულება*	15,086
პროექტირება-კონსულტაცია**	44,742
სულ	59,828

**შენიშვნა: შეტანილია ქვემენარდეების მიერ შესრულებულ სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეული ხარჯი*

***შენიშვნა: გარკვეული სამშენებლო ხელშეკრულებები გულისხმობს როგორც უშუალოდ სამშენებლო, ასევე წინასწარული საპროექტო-საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარებას. შესაბამისად, ე.წ. გადამუშავების დანახარჯებში შეტანილია პროექტირებასთან დაკავშირებული. მესამე მხარის მიერ გაწეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი*

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

2020 წელს გაწეული ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

ჯგუფი	თანხა
ადმინისტრაცია	311
მივლინება	15,065
წარმომადგენლობითი	416
ტელეკომუნიკაცია	3763
ქონების გადასახადი	1924

***შენიშვნა: სამშენებლო პროექტებზე სანებართვო მოსაკრებლების ხარჯი

11. არასაოპერაციო ხარჯები

2020 წელს არასაოპერაციო ხარჯების მუხლში შეყვანილია საქველმოქმედო მიზნებით გაწეული დანახარჯი, რომელმაც შეადგინა 18063 ლარი.

12. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შესყიდვის, დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას.

ცვეთა აღიარება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

- შენობა-ნაგებობები 20-დან 40 წლამდე;
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 6-დან 8 წლამდე;
- საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვა - 5 წელი.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

ჯგუფი	1/1/2020	შემოსვლა	ცვეთა	31/12/2020
მსუბუქი ავტომობილები	87,747		17,549	70,197
ა/სატრანსპორტო საშუალება	2,366		118	2,248
სამშენებლო მოწყობილობა	20,708		1,035	19,673
კომპიუტერები	4,720		944	3,776
დიზელ-გენერატორები	9,284		743	8,542
შენობა-ნაგებობები	69,735		3,487	66,248
შენობების აფასების კოეფიციენტი****	3			132,496
<u>სულ</u>	<u>194,560</u>		<u>23,877</u>	<u>303,180</u>

***შენიშვნა: აფასების შედეგად წარმოქმნილი გადაფასების რეზერვი ასახულია ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების შესაბამის მუხლებში

ამორტიზაციის ხარჯებში ასახულია შემდეგი დანახარჯები:

ჯგუფი	თანხა
ავტომანქანების შეკეთება****	2,750
ინვენტარის შეკეთება	1,170
საზეთ-საპოხი	1,155
სულ	5,075

*****შენიშვნა: ავტომანქანების შეკეთების ხარჯების ოდენობა ზღვრულად დასაშვებია.

13. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული სხვა დანახარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

საპროცენტო შემოსავალი, 2020 წელი	თანხა
ანაბრებიდან	30,625
კერძო პირებზე გაცემული სესხებიდან	877
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	5,695
სულ	<u>37,197</u>

საპროცენტო ხარჯები, 2020 წელი	თანხა
საბანკო გარანტიის მომსახურება	6,545
ოვერდრაფტების და საბანკო მომსახურების ხარჯები	5,434
სულ	<u>11,979</u>

14. მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანად არის კლასიფიცირებული.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

15. ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. დაუმთავრებელი სამონტაჟო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაუმთავრებელი მშენებლობა) აღირიცხულია თვითღირებულებით, მაგრამ დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა დაირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით. სხვა შემთხვევაში, ძირითადი საშუალების აღდგენასა თუ ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შედარებით და მოგებაში ან ზარალში წმინდა ფორმით აღიარდება სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის კატეგორიაში.

16. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და სხვა აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

17. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საწარმო გადასულია მოგების გადასახადის ყოველთვიური ანგარიშგების მოდელზე, ვინაიდან 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის ქ იანვრამდე მიღებული წმინდა მოგების ნაწილი რეინვესტირებულია საწარმოში და დივიდენდების პერიოდული განაწილება ამ პერიოდის მოგებიდან ხდება. შესაბამისად, მოგება-ზარალის უწყისში შესული მოგების გადასახადით საწარმო ბეგრავს:

- დოკუმენტურად დაუდასტურებელ ან სხვა, ეკონომიკურ საქმიანობასთან არადაკავშირებული ხარჯებს
- ფიზიკური პირებისათვის გაცემულ მოკლევადიან სესხებს (თუ ამგვარი არსებობს)

18. კაპიტალი

საწარმოს საწყისი კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრა კომპანიის წესდებით. კაპიტალის ზრდა ან შემცირება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების

საფუძველზე. კომპანიის მიერ კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

შენობა-ნაგებობების ღირებულებითი აფასების გადაფასების რეზერვი გაიზარდა 132,496 ლარით.

საწარმოს გააჩნია სხვა რეზერვები, რომლებიც დროდადრო გამოიყენება თანამსრომელთა წახალისების, საინვენტარო ბაზის განახლების და მიზნობრივი ფონდების შექმნის მიზნით. 2020 წლის პანდემიის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვანწილად შემცირდა გაყიდვები, საწარმომ გამოიყენა რეზერვები თანამსრომელთა შენარჩუნებისა და წახალისების მიზნით. რეზერვები შემცირდა 120,257 ლარით და სალდომ შეადგინა 45,223 ლარი (2019 წელს იგი 165,480 ლარს უდრიდა).

19. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, კომპანია გასცემს დივიდენდებს 2008-2016 წლებში დაგროვილი წმინდა მოგებიდან. ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკისა და ბანკის ოვერდრაფტის მიმდინარე ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,072,122	2,752,859
სავაჭრო მოთხოვნები	18,942	196,409
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	1,071,403	6,588
მარაგები	51,463	42,320
- მზა პროდუქცია	51,463	42,320
- სხვა	-	-

საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	51,744	21,748
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	303,180	194,560
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	3,568,854	3,214,484
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	490	42,566
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2,627	4,285
საგადასახადო ვალდებულებები	31,502	16,291
გამოუმუშავებელი შემოსავალი	566,282	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,532	9,624
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-
მიღებული გრანტები		-
სხვა ვალდებულებები	400,095	309,530
სულ ვალდებულებები	1,002,528	382,296
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	511,816	511,816

საემისიო შემოსავალი		-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,876,791	2,154,892
გადაფასების რეზერვი	132,496	-
სხვა რეზერვები	45,223	165,480
სულ საკუთარი კაპიტალი	2,566,326	2,832,188
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,568,854	3,214,484

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	435,161	2,911,010
საქონლის გაყიდვიდან	65,734	7,630
მომსახურების გაწევიდან	51,530	53,466
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	317,897	2,849,914
სხვა	-	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(260,347)	(1,149,536)
საწყისი მარაგები	(42,320)	(74,805)
მარაგების შესყიდვა	(209,662)	(1,114,505)
გადამუშავების დანახარჯები	(59,828)	(2,546)
საბოლოო მარაგები	51,463	42,320
საერთო მოგება	174,814	1,761,474
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(281,395)	(798,983)
ცვეთა და ამორტიზაცია	(28,952)	(26,844)
საპროცენტო შემოსავალი:	37,197	50,732

საპროცენტო ხარჯი :	(11,979)	(20,609)
იჯარის ხარჯი	(3,331)	(3,254)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(24,055)	(82,945)
სულ საოპერაციო ხარჯები	(312,515)	(881,903)
საოპერაციო მოგება	(137,701)	879,571
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	144,097	33,414
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(18,063)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(11,667)	912,985
მოგების გადასახადი	1,163	(1,296)
მოგება/(ზარალი)	(10,504)	911,689
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი	132,496	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	132,496	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	121,992	911,689
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,832,188	2,460,461
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(309,435)	(383,650)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(90,660)	(156,312)

კაპიტალის სხვა ცვლილებები	12,241	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,566,326	2,832,188

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა		
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(868,281)	1,252,976
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(31,100)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	25,273	(428,130)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(843,008)	793,746
სავალუტო კურსის ეფექტი	162,271	14,918
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,752,859	1,944,195
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,072,122	2,752,859

დირექტორი:

ბორის ფიჩხაძე

